რ საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი ხუთშაბათი 25 მაისი № 120 (17465) ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

კიდევ უფრო ფართოდ გავეცნოთ სოციალისტური შეჯიბრება ასპოქჟელებელი ობიექტების მშენებლობაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება იმის შესახებ, რომ მომიჯნავე ორგანიზაციათა კოლექტივებმა მუშური ესტაფეტის პრინციპით გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება 1979-1980 წლებში საექსპლუატაციოდ გადასაცემი, ასპოქჟელებელი ობიექტების მშენებლობაზე.

იმ მიზნით, რომ მკვეთრად გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, ფართოდ გავრცელდეს მოწინავე მეთოდები, კიდევ უფრო განვითარდეს სოციალისტური შეჯიბრება 1979–1980 წლებში რესპუბლიკაში საექსპლუატაციოდ გადასაცემ ობიექტებზე და ვადამდე ამოქმედდეს ისინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროებს, უწყებებს, შემკვეთ და მიმწოდებელ ორგანიზაციებს, აგრეთვე საპროექტო, სატრანსპორტო, საიჯარო, სუბსაიჯარო ორგანიზაციებს და სამშენებლო კონვეიერის სხვა მონაწილეებს ურჩიეს მუშური ესტაფეტის პრინციპით ჩაებან კომპლექსურ შეჯიბრებაში დევიზით — „ერთმანეთისადმი პრეტენზიების ნაცვლად ერთმანეთის დახმარება და მხარდაჭერა“.

დამტკიცდა 1979-1980 წლებში საექსპლუატაციოდ გადასაცემი კაპიტალური მშენებლობის ობიექტების მშენებლობის მონაწილე სამშენებლო-სამონტაჟო სპეციალიზებული ორგანიზაციების, შემკვეთი ორგანიზაციების, საპროექტო ინსტიტუტების, მიმწოდებლებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

წლის შედეგების მიხედვით მუშური ესტაფეტის პრინციპით გამლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხუთი გარდამავალი წითელი დროშა სამრეწველო მშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო მშენებლობის, საბინაო მშენებლობის ობიექტების, აგრეთვე ქიმიის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციო დადაცემაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის.

შეჯიბრების გამარჯვებულთ წარადგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად.

სამი, ექვსი, ცხრა თვისა და მთელი წლის შედეგების მიხედვით წახალისების მიზნით გამარჯვებულ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური სტიმულირების მიზნით ყოველწლიურად გამოიყოფა რიგგარეშე მიყიდვისათვის მსუბუქი ავტომანქანები, ავეჯის გარნიტურები, ევროპის სოციალისტური ქვეყნების ტურისტული საგზურები, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები. (საინფორმაციო).

ადამიანში ყოველივე ადამიანურის ასაღორძინებლად!

საქმეში გამოაჩინა

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის საუკეთესო საწარმოა. მისი კოლექტივი, როგორც წესი, დიდი გადაჭარბებით ასრულებს ხალხმეწიფო გეგმებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. გაერთიანების მიერ გამოშვებულ პროდუქციას მრავალრიცხოვანი მომხმარებელი ჰყავს.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება ძირითადად № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფილიალის აღზრდილებით არის დაკომპლექტებული. აღსაზრდელებს კი ყურადღებას არ აკლებენ საწარმოს ხელმძღვანელები და შრომის ვეტერანები. მოსწავლეთათვის სპეციალურად გამოყოფილ უბანზე ყველა პირობაა შექმნილი მათი დაოსტატებისათვის.

სურათზე: № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფილიალის კურსდამთავრებული მანანა ოსიყმაშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.



ტემპს აჩქარებენ

მარნეული. (საკ. კორ.). საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის (მმართველის მოვალეობის შემსრულებელი მ. კალინინი) კოლექტივი დამკვრელური შრომით აღნიშნავს ხუთწლედის მეოთხე წლის ყოველ დღეს და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს.

განვლილი ოთხი თვის მანძილზე მშენებლებმა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს 1 პროცენტით გადააჭარბეს, რის უკეგგადაც დამატებით 306 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს. იანვარ-აპრილში სულ ათვისებულია ოთხი მილიონ 508 ათასი მანეთი, გეგმა კი 107,3 პროცენტით შესრულდა. განვლილ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მრავალი ობიექტი.

მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ეს ტემპი კიდევ უფრო გააჩქარონ და ღირსეული მაჩვენებლებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი.

ლონდონში სსრ კავშირის ეროვნული გამოფენის დამთვალიერებლებს

გულითადად მივესალმები ლონდონში სსრ კავშირის ეროვნული გამოფენის დამთვალიერებლებს და ამავე დროს ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ყოველივე საუკეთესო ვუსურვო დიდი ბრიტანეთის ყველა მოქალაქეს.

იმედი მაქვს, რომ ეს გამოფენა საშუალებას მოგვცემთ უკეთ გავეცნოთ ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებას, საბჭოთა ხალხის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მიღწევებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილ პერიოდში. საბჭოთა კავშირი დღეს დიდად განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფო, ნამდვილი პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული თანასწორობის ქვეყანაა, სადაც უკვე თითქმის 50 წელია აღარ არის უმუშევრობა. გამოფენაზე ნახავთ იმის მცირე ნაწილს, რასაც საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ქმნის. დაე ამ გამოფენამ სიმბოლურად გამოხატოს საბჭოთა ადამიანების მხურვალე მისწრაფება მშვიდობისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისადმი.

ლონდონში საბჭოთა ეროვნული გამოფენის მოწყობა თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ერთგვარი პროგრესია მიღწეული საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობის განვითარებაში. ეს ურთიერთობა ჩვენი ორი ქვეყნის შეთანხმებათა და მორგებათა საფუძველზე ვითარდება სხვადასხვა დარგში — ეკონომიკაში, ვაჭრობაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, მედიცინაში, კულტურასა და სხვა დარგებში.

ჩვენ მზად ვართ კვლავაც დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების გზით ვიაროთ, თუ, რა თქმა უნდა, ბრიტანეთის მხარეც გამოიჩენს ასეთ სურვილს.

ჩემი აზრით, ლონდონში სსრ კავშირის ეროვნული გამოფენა, ისევე როგორც ამჟამად მიმდინარე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები, დიდწილადწვლილი ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგების განმტკიცებისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გზაზე საბჭოთა და ბრიტანელი ხალხების საკეთილდღეოდ, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

ლ. ბრეჟნევი.

მილოცვა აფრიკის სახელმწიფოებსა და ხალხებს აფრიკის განთავისუფლების დღის გამო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის მთავრობის, საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად გულითადად ვულოცავ აფრიკის სახელმწიფოთა მთავრობებსა და ხალხებს აფრიკის განთავისუფლების დღეს.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან აფრიკელი ხალხების წარმატებებს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის იდეალების გამარჯვებისათვის, თავიანთი სახელმწიფოების სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აფრიკის დამოუკიდებელ ქვეყნებთან მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას.

დამამთავრებელ სტადიაში შევიდა სამართლიანი ბრძოლა, რომელსაც აფრიკის ხალხები მსოფლიოს პროგრესული ძალების მხარდაჭერით ეწევიან კოლონიალიზმისა და რასიზმის სისტემის ნაშთების სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის. შორს აღარ არის ის დღე, როცა ეს სამარცხვინო მოვლენები საბოლოოდ და სამუდამოდ გაჩრება აფრიკის მიწა-წყლიდან.

თავისუფალი აფრიკა ისეთ ვითარებაში იქმნება, როცა ერთმანეთს ებრძვიან ეროვნული განთავისუფლებისა და პროგრესის ძალები და იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები, რომლებიც ცდილობენ შეაფერხონ ეს შეუქცევადი პროცესი და კონტრშეტევაზეც კი გადავიდნენ. ამას მოწმობს დღეს აფრიკის კონტინენტის სამხრეთში შექმნილი ვითარება, სადაც რასისტები იმპერიალისტური წრეების მხარდაჭერით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეაყოვნონ ზემობავშვა და ხალხების პატრიოტთა გამარჯვებისადმი მისწრაფება, შექმნან იქ მარიონეტული ნეოკოლონიალისტური რეჟიმები, მიაღწიონ მათს საერთაშორისო აღიარებას და ეს რაიონი გადააქციონ რასიზმისა და ჩაგვრის ნაკრძალად, დამოუკიდებელი აფრიკისათვის საფრთხის მუდმივ წყაროდ.

აფრიკის მტერთა ზრახვების ჩაშლა მარტო აფრიკელი ხალხების ამოცანა კი არა, ყველა კეთილი ნების ადამიანის მოვალეობაც არის. საბჭოთა კავშირი განუხრელად იღვწის იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს სამხრეთ აფრიკის ხალხთა თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის ხელშეუვალი უფლებები, მთელი ძალაუფლება გადაეცეს ზიმბაბვესა და ნამიბიის ხალხებს — მათს ნამდვილ წარმომადგენლებს — პატრიოტულ ფრონტსა და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციას, მოისპოს აპარტეიდის სამარცხვინო სისტემა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ნეოკოლონიალისტთა მანევრებს სამხრეთ აფრიკაში, რასისტთა აგრესიულ მოქმედებას ეროვნული განთავისუფლების ძალებისა და მეზობელი დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ, მხარს ვუჭერთ მოთხოვნებს, რომ რასისტული რეჟიმების მიმართ გამოყენებული იყოს ეფექტიანი და ყოველისმომცველი საერთაშორისო სანქციები გაეროთაანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აფრიკის მძლავრი იარაღი კლავინდებურად მისი ერთიანობაა. სწორედ ამიტომ აფრიკელ ხალხთა მტრები ცდილობენ შეარყიონ იგი, დაყონ აფრიკა დაპირისპირებულ დაჯგუფებებად, ჩამოაშორონ მისი ხალხების ყურადღება ეროვნული მშენებლობის საარსებო პრობლემებისა და აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას. ამ პირობებში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას როგორც აფრიკის კონტინენტზე კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებაში, ისე იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აფრიკის ქვეყნების ღონისძიებათა გაერთიანებაში.

აფრიკის ქვეყნების, ისევე როგორც სხვა კონტინენტების ქვეყნების ხალხთა მისწრაფებების განხორციელება შეიძლება მხოლოდ მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ვითარებაში, რისთვისაც საჭიროა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო და ხალხი მუდამ ერთად მოქმედებდეს. ჩვენ მივესალმებით აფრიკის ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ გაეროთაანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში, მზადა პოზიტიურ როლს ასრულებენ საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და მსოფლიოს ყველა რაიონში მისი გავრცელებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და რეალური განიარაღებაზე გადასვლისათვის. ამ მიმართულებით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი შეთანხმების დადება.

აფრიკის ქვეყნების ხალხებს ვუსურვებ ახალ წარმატებებს იმისათვის ბრძოლაში, რომ რაც შეიძლება მალე და მთლიანად გაათავისუფლონ კონტინენტი კოლონიალიზმისა და რასიზმისაგან, ხორცი შეასხან ეროვნული განვითარების ამოცანებს მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის პირობებში.

ლ. ბრეჟნევი.

პრესა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

მოსკოვი, 23 მაისი. (საკდესის კორ.). „პრესის როლი მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციაში“ — ასეთია დღეს მოსკოვში გახსნილი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა სრულიად საკავშირო კონფერენციის თემა.

კონფერენციაზე მოხსენებებს კითხულობენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარმომადგენლები, მეცნიერები, ეკონომისტები, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სამინისტროებისა და უწყებების, მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

ოლაპარაკება გრძელდება

პრაღა, 24 მაისი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა მოლაპარაკება გააგრძელა.

ორივე ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა ძირითადი ყურადღება დაუთმეს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება მომავალი ხუთწლედისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, აგრეთვე სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავების გრძელვადიან პერსპექტივასა და თანამშრომლობის ხანგრძლივი მიზნობრივი პროგრამების შემდგომ შემუშავებას.

ამაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ- ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განუწყვეტელი გაღრმავება, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა ეფექტიანად უწყობს ხელს ორივე ქვეყანაში კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას.

მოლაპარაკება მეგობრულ, სანდომიან ვითარებაში მიმდინარეობდა.

ფერმის მშრომელთა ღირსების საქმე

ახლოვდება ზაფხული, დრო, როცა წყდება საკვებდამამზადებელთა გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ბედ-იღბალი, საფუძველი ეყრება საფურაჟე ბაზას მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამასთან სტატისტიკური მონაცემებით მიმდინარე წლის ოთხ თვეში მთელ რიგ მეურნეობებსა და რაიონებში შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნამატის მიღების მაჩვენებელი, მაგალითად, რესპუბლიკაში, მიღებულია 90 392 ხბო, რაც 2,6 ათასი სულით ანუ 3 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელთან, შედარებით, მცირეა ნამატი გორის, მცხეთის, ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ზუგდიდის — სულ 14 რაიონის, აგრეთვე ჭიათურისა და ტყიბულის ზონების მეურნეობებში.

ნაკლები რაოდენობით მიიღეს გოჭები რესპუბლიკის 18 რაიონის მეურნეობებში. მათ შორის არიან ორჯონიკიძის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგალითად, ამბროლაურის რაიონის მეურნეობებმა გასული წლის ოთხ თვეში გოჭების სულადობა 4878-მდე გაზარდეს, წელს კი მხოლოდ 1418-ით.

ნაკლები ბატკანი შეინარჩუნეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის 6 რაიონში. პირუტყვის უველაზე ნაკლები ნამატი მიიღეს ქარელის, კახეთის, ბორჯომის, გურჯაანის, რაიონების მეურნეობებმა.

რა მიზეზით შემცირდა მთელ რიგ რაიონებში მატების მაჩვენებელი? ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ დაბალია ფერმებში მეურნეობის გაძღოლის კულტურა, სუსტია საკვები ბაზა, ირღვევა პირუტყვის შენახვის ზოოტექნიკური ნორმები ჩამორჩენილ მეურნეობებში არ იყენებენ მოწინავე გამოცდილებას, რეზერვებს, მოზარდეულის, კერძოდ, გოჭების წარმოების გადიდება კი აუცილებელია.

ზაფხულის დღე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთელი სასოფლო სამეურნეო წლის საბოლოო შედეგებს, პირუტყვის მომავალი გამოზამთრების ბედ-იღბალს. რესპუბლიკის ფერმების მშრომელთა სადღეისო ამოცანაა საკმაო რაოდენობით დაამზადონ საკვები, წლის დამლევამდე ექვს რაიონში შექმნან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშთსანაშენე ფერმები, 84 ათას ქუაზე მიიღონ 14.14 გოჭი. ამ ამოცანის რეალიზაციის უზრუნველყოფა ნიშნავს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოთ მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობაში.

პირუტყვის მატების მიღების ტაბულა 1979 წლის 4 თვეში.

ხბო

(სული).

რაიონი	1979 წელი	1978 წელი
ბოგდანოვკის	4359	5116
გორის	1800	2521
საგარეჯოს	1348	1544
მცხეთის	1310	1566
დმანისის	2824	3243
ჭიათურის ზონა	757	847
საჩხერის	683	770
ორჯონიკიძის	287	315
ტყიბულის ზონა	394	457
ონის	995	1228
ამბროლაურის	755	989
ლენტეხის	773	918
ცხაკაიას	665	772
ზუგდიდის	944	1154
ლანჩხუთის	933	1037
მესტიის	662	725
რესპუბლიკა	90392	93045

გოჭი

(სული)

რაიონი	1979 წელი	1978 წელი
გორის	1912	2934
გურჯაანის	4480	4985
წითელწყაროს	11542	13870
მცხეთის	1139	1850
მარნეულის	3187	3837
ბოლნისის	1655	2046
თიანეთის	2044	2431
სამხრეთ ოსეთის	3948	4490
წყალტუბოს	1045	1335
სამტრედიის	1672	2904
ზესტაფონის	737	1885
ორჯონიკიძის	715	2068
ამბროლაურის	299	876
ახალშის	1418	4378
ზუგდიდის	1251	2604
ხობის	2797	4150
ჩხოროწყუს	1394	1966
მახარაძის	1602	2338
რესპუბლიკა	126998	133245

ბატკანი

(სული).

რაიონი	1979 წელი	1978 წელი
ბოგდანოვკის	51962	54211
ახალციხის	8509	8985
ქარელის	1177	2060
ქასპის	5883	6303
ბორჯომის	4016	4820
გურჯაანის	6287	7359
აფხაზეთის ასს რესპუბლიკა	3313	3824
რესპუბლიკა	610396	588955

(საქინფორმი).

კომუნისტის დიდგანიშვნელოვანი მოვალეობა

სამ წელზე მეტი გავიდა სკკპ XXV ყრილობის შემდეგ, და რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო სრულად ვლინდება მისი კეთილნაყოფიერი გავლენა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეზე. დღეს იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ ისხამს ზორცს ყრილობის გადაწყვეტილებები ცოცხალ ყოველდღიურ პრაქტიკაში, ჩვენს კონკრეტულ საქმეებში, როგორ მკვიდრდება პარტიაში მუშაობის ლენინური სტილი.

მუშაობის ლენინური სტილი — ეს არის გერგილიანობა და ორგანიზებულობა, ნდობა და მაღალი მოთხოვნელობა, შესრულების კონტროლისა და შემოწმების ზუსტად მოგვარებული სისტემა. ეს არის უწინარეს ყოვლისა პარტიული დისციპლინა, ისეთი დისციპლინა, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, ემყარება არა შიშს, არა მკაცრი ადმინისტრირების მეთოდებს, არამედ ღრმა შინაგან რწმენას, სახიანობას, შეგნებას.

პარტიული დისციპლინის საკითხი განუყრელად არის დაკავშირებული პარტიისათვის მატერიალური მხარდაჭერის საკითხთან. სამეურნეო შენატანების რეგულარული გადახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების — კომუნისტთა ცხოვრების ამ ურყევი კანონის მოთხოვნაა.

ჯერ კიდევ რსდმპ II ყრილობაზე პარტიისათვის მატერიალური მხარდაჭერის საკითხი ერთერთი წამყვანი იყო. რსდმპ III ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში ჩაწერა: „უეცილებელია, რომ პარტიას შეეძლოს მთლიანად არსებობდეს უსახსრო შინაარსით გამდიდრდა, დღესაც ინარჩუნებს თავის ძალასა და აქტუალობას: საწევრო შენატანების გადახდა პარტიისადმი უბრალო მატერიალური მხარდაჭერა კი არა, კომუნისტებისათვის დისციპლინისა და ორგანიზებულობის ჩაწერგვაა.

ორგანიზებულობის, საწესდებო მოთხოვნათა დაცვის მაგალითს გვიჩვენებდა ვ. ი. ლენინი, რომელსაც საწევრო შენატანების გადახდა ერთ-ერთ თავის უპირველეს და ყველაზე საპატიო მოვალეობად მიაჩნდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამკვიდებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების საწევრო შენატანების გადახდის წესახებ ინსტრუქციით გათვალისწინებულია: შენატანებს, როგორც წესი, იღებს პარტიული ორგანიზაციის, ბიუროს, კომიტეტის მდივანი ან მისი მოადგილე. ამრიგად, კომუნისტი, რომელიც შენატანებს იხდის, უშუალოდ ხვდება თავის პარტიულ წინამძღოლს, მას ეძლევა კიდევ ერთი შესაძლებლობა განხილოს საინტერესო პრობლემები, მიიღოს კონსულტაცია, ზოგჯერ კი უბრალო ამხანაგური შენიშვნაც ამა თუ იმ საკითხზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები მუდამ დიდ ყურადღებას უთმობენ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანს, სისტემატიურად აკონტროლებენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული შენატანების გადახდისა და ანგარიშგების მდგომარეობას. ეს საკითხი არაერთხელ განუხილიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს. ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილება და საქმეთა მმართველობა აწყობენ პარტიული ორგანიზაციების მდივანთა, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების წევრთა და პარტიული ორგანოების ფინანსურ მუშაკთა სემინარებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისია.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, როგორც წესი, სარევიზიო კომისიებთან ერთად აწყობენ პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების სემინარებს საწევრო შენატანების შესახებ საინსტრუქციო მასალების შესწავლისათვის. საწევრო შენატანების გადახდის საკითხები სისტემატიურად იხილება პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების გათვალისწინებულია: შენატანებს, როგორც წესი, იღებს პარტიული ორგანიზაციის, ბიუროს, კომიტეტის მდივანი ან მისი მოადგილე. ამრიგად, კომუნისტი, რომელიც შენატანებს იხდის, უშუალოდ ხვდება თავის პარტიულ წინამძღოლს, მას ეძლევა კიდევ ერთი შესაძლებლობა განხილოს საინტერესო პრობლემები, მიიღოს კონსულტაცია, ზოგჯერ კი უბრალო ამხანაგური შენიშვნაც ამა თუ იმ საკითხზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები მუდამ დიდ ყურადღებას უთმობენ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანს, სისტემატიურად აკონტროლებენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული შენატანების გადახდისა და ანგარიშგების მდგომარეობას. ეს საკითხი არაერთხელ განუხილიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს. ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილება და საქმეთა მმართველობა აწყობენ პარტიული ორგანიზაციების მდივანთა, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების წევრთა და პარტიული ორგანოების ფინანსურ მუშაკთა სემინარებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისია.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, როგორც წესი, სარევიზიო კომისიებთან ერთად აწყობენ პარტიული ორგანიზაციათა მდივნების სემინარებს საწევრო შენატანების შესახებ საინსტრუქციო მასალების შესწავლისათვის. საწევრო შენატანების გადახდის საკითხები სისტემატიურად იხილება პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების მდივნების გაწაფულობის ამაღლებას, მათ მიერ პარტიული ორგანიზაციების ეფექტიანად ხელმძღვანელობის საქმეში.

ამ მხრივ საინტერესოა ქალაქ რუსთავის № 10 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის პარტორგანიზაციის მდივნის, ყოფილი კომუნისტი მ. ყავრელიშვილი, რომელიც 1973 წლის მაისიდან შეთავსებით მუშაობდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოვალედ ფაქტურ შემოსავალს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრისათვის ასეთი შეუფერებელი საქციელის გამო ორივე გაირიცხა პარტიიდან.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენ ბევრს ვმუშაობთ შემოქმედებითი ორგანიზაციების კომუნისტთა მიერ პარტიული შენატანების გადახდის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ეს საკითხი ბევრჯერ განხილულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებში. პირველად პარტიული ორგანიზაციების სისტემატურად ვუწევდით პრაქტიკულ დახმარებას, მაგრამ პირადად უნდა ვთქვათ, რომ დღემდე ვერ მოვხერხდა ამ საქმეში წესრიგის დამყარება.

მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები და სხვა შემოქმედებითი მუშაკები, რომლებიც საავტორო ჰონორარს იღებენ, შენატანებს იხდიან დარიცხული ჰონორარის მთელი თანხიდან ან ავანსის სახით მიღებული მისი ნაწილიდან. გადახდა წარმოებს იმ თვეში, როცა ჰონორარი ან ავანსი მიიღეს, და არა წლის დამლევს. სწორედ ამ დებულებით უნდა ხელმძღვანელობდნენ შემოქმედებითი კოლექტივების პარტორგანიზაციათა მდივნები კომუნისტთა საწევრო შენატანების თანხის განსაზღვრის დროს. მაგრამ სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ პირველადს პარტორგანიზაციათა ზოგიერთი მდივანი, ცუდად იცნობს რა ინსტრუქციას, თვითონ ყოველთვის არ იხდის საწევრო შენატანებს პრემიებიდან და სხვა შემოსავლიდან. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ საწევრო პარტიული შენატანები არ გადაბდებათ ისეთი შემოსავლიდან, როგორიც არის ლენინური და სახელმწიფო პრემიები, კონკურსებსა და სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეობისათვის მიღებული პრემიები და პრიზები, ერთდროული დახმარება, გადაყვანები, მივლინებების თანხა, მოგება და სხვ.

ყველა პარტიულ ორგანიზაციაში მკაცრად როდი სთხოვენ პასუხს იმაზე, ვინც არაკეთილსინდისიერად ასრულებს ამ საწესდებო მოვალეობას, არღვევს გადახდის ვადებს. არა და ხომ, ცნობილია, რომ თუ სკკპ წევრმა ან წევრობის კანდიდატმა პარტიული შენატანი არ გადაიხადა სამი თვის მანძილზე არასაპატიო მიზეზით, საკითხი უნდა განიხილოს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ. თუ ამ დროს გამოირკვევა, რომ კომუნისტმა ფაქტიურად დაკარგა კავშირი პარტიულ ორგანიზაციასთან, იგი პარტიიდან გასულად ითვლება, რის გამოც პირველადი პარტიული ორგანიზაცია იღებს დადგენილებას და შეაქვს იგი პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტის დასამტკიცებლად.

სადაც უნდა იყოს სკკპ წევრი ან წევრობის კანდიდატი — სამსახურებრივ მივლინებაში, შვებულებაში, სამკურნალოში — საწევრო შენატანები უნდა გადაიხადოს საერთო საფუძველზე. თუ იგი ავად არის და არ შეუძლია პირადად გადაიხადოს შენატანი, მაშინ მისი დავალებით გადახდის ნებართვა ეძლევა მოცემული პარტორგანიზაციის რომელიმე კომუნისტს. ამასთან უწყისში ნული უნდა მოაწეროს შენატანის გადამხდელმა და ჩაიწეროს: „ნ. ნ. ავად არის, გადაიხადა მან (ვინ) მოწერა).“

ხშირად პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, როცა საწევრო შენატანებს იღებენ, არღვევენ დადგენილ წესს, კომუნისტებს არ სთხოვენ პარტიულ დოკუმენტს, თვეობით პარტიულ ბილეთსა თუ საკანდიდატო ბარათში არ შეაქვთ საჭირო აღნიშვნები. სამწუხაროდ, ახლა პრაქტიკულად მივიწყებული ჩანს ისეთი კარგი, მაორგანიზებელი ტრადიცია, როგორიცაა პარტიული კრებების დაწყების წინ პარტიული ბილეთების, საკანდიდატო ბარათების, შენატანების გადახდის მდგომარეობის, მათი გაფორმების შემოწმება.

ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ პირველადი პარტორგანიზაციები დროულად არ აბარებენ მიღებულ შენატანებს შემნახველ სალაროს, აგრეთვე დროზე არ მიაქვთ საქალაქო თუ რაიონულ კომიტეტში ყოველთვიური ანგარიშები მათს შესახებ. ამ საქმეში განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედუროთ პარტიის ქასპის, მცხეთის, ბოგდანოვკის, დმანისის, გარდაბნის, ყაზბეგის, ცაგერის, ქარელის რაიკომებს, რომლებსაც, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთგზის მითითების მიუხედავად, არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში წესრიგის დასამყარებლად.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა მიერ საწევრო შენატანების გადახდის უწყისების სწორ გაფორმებას. მრავალჯერ აღნიშნა შემოწმებამ ცხადყო, რომ ცალკეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ზერელედ ეკიდებიან დოკუმენტების შედგენას. კომუნისტთა გვარები უწყისებში არ შეაქვთ ანბანის მიხედვით, არ ავსებენ ყველა გრაფას, სწორად არ აჯამებენ შედეგებს, არ არის სკკპ წევრთა ხელმოწერები შენატანების გადახდის შესახებ, არის ამონაფხეკები, წანაწალები.

პარტიული კომიტეტები, საერთაშორისო კომისიები დღენიადაგ თვალს უნდა აღევნებდნენ პირველადად პარტორგანიზაციათა მუშაობას, წვრმართავდნენ მას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის შესაბამისად ახორციელებენ სისტემატურ კონტროლს მათი საქმიანობის მიმართ, დახმარებას უწევენ მათ გამომანგარიშებლებს სწორად შეადგინონ ანგარიშები და დროულად წარადგინონ ისინი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიულ კრებებსა და პარტიული ბიუროს სხდომებზე საწევრო შენატანების გადახდის მდგომარეობის საკითხის რეგულარულ და პრინციპულ განხილვას. იგი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, რომ თითოეულმა კომუნისტმა იცოდეს პარტიული კომიტეტების ბიუროების შემოწმების შედეგები და გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე. ეს ამაღლებს არა მარტო რიგითი კომუნისტების, არამედ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პასუხისმგებლობას, რომლებიც არა ცოუ იშვიათად თვითონ არღვევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნებს, ურიგდებიან პარტიის წევრთა მიერ პარტიული დისციპლინის უხეშად დარღვევას.

ამასთან ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: პარტიული შუშაობის მთელი პრაქტიკა იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ კონტროლი საწევრო შენატანების გადახდისადმი, მთელი პარტიული მეურნეობის შემოწმება უნდა ხორციელდებოდეს ნდობის საფუძველზე. ახორციელებენ რა ასეთ კონტროლს, პარტიის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სარევიზიო კომისიებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ მიმართულებით მუშაობის სწორად წარმართვისათვის, კომუნისტებს თავიდან აცილებენ შეცდომებს, ეხმარებიან მათ დროულ გამოსწორებაში, იღწვიან იმისათვის, რომ პარტიის ყველა რგოლი მოქმედებდეს შეთანხმებულად, მიზანმიმართულად.

თ. ხელაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.

მექანიზატორი სოფლად

ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიის მუშათა კადრების მომზადება.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა ღონისძიებანი მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიის მუშათა კადრების მომზადებისათვის, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მაგალითად, თუ 1976 წელს რესპუბლიკაში არსებულ ყოველ ას ტრაქტორისტზე მოდიოდა 104 ტრაქტორისტი, 1978 წლის ბოლოსათვის ეს ციფრი 130-მდე გაიზარდა. მექანიზატორთა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით შესრულეს გურჯაანის, თეთრი წყაროს, ქობულეთის, ხაშურის რაიონებმა. ასევე აღსანიშნავია ყვარლის, დმანისის, მახარაძის, ზუგდიდის სოფლის მეურნეობის სამმართველოებისა და საქსახსოფლტექნიკის საწარმოო გაერთიანებათა დამაკმაყოფილებელი მუშაობა.

მაგრამ ამ საქმეში რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია.

ზოგიერთი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოები და საქსახსოფლტექნიკის რაიონული გაერთიანებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კადრების მომზადების დიდმნიშვნელოვან საკითხებს. სამი წლის გეგმა-ვალდებულებანი ვერ შეასრულეს სამხრეთ ოსეთში (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი დ. სანაკოევი, ოლქის საქსახსოფლტექნიკის თავმჯდომარე ა. ბუკიკოლოვი), ბოგდანოვკის (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვ. სუხიტაშვილი, საქსახსოფლტექნიკის რაიონული გაერთიანების მმართველი ლ. საჩიშვილი), ახმეტის (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ჭუნიაშვილი, რაიონული გაერთიანების მმართველი ა. მარგიშვილი) რაიონებში,. ანალოგიური მდგომარეობაა თერჯოლის (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვ. ზარნაძე, რაიონული გაერთიანების მმართველი ბ. ვირუელიშვილი). ამბროლის (სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების უფროსი ბ. ხუციშვილი, რაიონული გაერთიანების მმართველი გ. გუნია), გალის (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ფალოლოძე, რაიონული გაერთიანების მმართველი რ. ქილასონია), დუშეთის (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი მ. ქარსელაძე, რაიონული გაერთიანების მმართველი შ. ბურდული), თიანეთის (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ე. კოჭლამაზაშვილი, რაიონული განყოფილების მმართველი ი. ჯამაგაძე) რაიონებში.

ცუდი მუშაობის შედეგია ის, რომ მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიის მუშათა კადრების მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სამი წლის გეგმა-ვალდებულება რესპუბლიკაში არ შესრულდა. მთელი რიგი რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ვერ უზრუნველყოფენ საქსახსოფლტექნიკის სასწავლო-საკურსო კომბინატში მასობრივი პროფესიის კადრების მოსამზადებლად კონტინგენტის შერჩევას და გაგზავნას. კომბინატში გეგმით გათვალისწინებული 1245 მექანიზატორის ნაცვლად მომზადდა 309 სხვადასხვა პროფესიის მექანიზატორი. ნელი ტემპით ხორციელდება კადრების კვალიფიკაციის ამაღლება: თუ 1976 წლისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოიყვანა ტრაქტორისტ-მემანქანეების საერთო რიცხვიდან პირველი და მეორე კლასი ჰქონდა 50,6 პროცენტს, 1978 წლის დამლევისათვის იგი მხოლოდ სამი პროცენტით გაიზარდა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა მიცხოველეობის და სხვა დარგების მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

გარკვეული ნაკლოვანებებია საქსახსოფლტექნიკის საკურსო კომბინატის სასწავლო-მეთოდიკური ბელმძღვანელობაშიც. ზშირია ადგილებზე სასწავლო გეგმებისა და პროგრამების თვითნებური გადაკეთების, სასწავლო დროის შემცირების და სხვა ფაქტები. ზოგიერთი რაიონული გაერთიანება არაზუსტ ცნობებს აგზავნის კადრების მომზადების საკითხებზე. მაგალითად, ბოლნისის საწარმოო გაერთიანებამ დისპეტჩერის საშუალებით გადმოსცა, რომ პირველი თებერვლისათვის თითქოს ემზადებოდა 100 კაცი, შემოწმებით კი გაირკვა, რომ არც ერთი კაცი არ ემზადებოდა. საკურსო ქსელში არ არის ერთიანი სასწავლო-საანრიცხვო დოკუმენტაცია, რის გამოც მუდმივმოქმედ კლასებში სასწავლო ჟურნალების, ხელშეკრულებების თემატური და სასწავლო გეგმების შედგენა-წარმოება ხდება სხვადასხვაგვარად და დიდი ნაკლოვანებებით.

შეუწყნარებლად პასიურობს „საქსოფლმონტაჟკომპლექტის“ და თელთის ექსპერიმენტული ქარხნის ხელმძღვანელობა რესპუბლიკური სასწავლო-საკურსო კომბინატის სასწავლო-მატერიალური ბაზის გამტკიცების, კომბინატის თანამშრომელთა სამუშაო და მსმენელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ოპერატიული ხელმძღვანელობის კომისიის რეკომენდაციით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილეს საკითხი რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიის მუშათა კადრების მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების 1976-1978 წლების გეგმების შესრულებისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებს, საქსახსოფლტექნიკის საოლქო და რაიონულ საწარმოო გაერთიანებებს წინადადება მიეცათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საქსახსოფლტექნიკის რაიონული საწარმოო გაერთიანებების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში მეტი ხელშეწყობა გაუწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პერსპექტივებს, ინდივიდუალური მომზადების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ფართო ქსელი და მთლიანად უზრუნველყონ მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მასობრივი პროფესიების კადრების მომზადება-გადამზადების დავალების შესრულება.

აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებს, საქსახსოფლტექნიკის საოლქო და რაიონულ საწარმოო გაერთიანებებს წინადადება მიეცათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საქსახსოფლტექნიკის რაიონული საწარმოო გაერთიანებების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ვერ უზრუნველყოფენ საქსახსოფლტექნიკის სასწავლო-საკურსო კომბინატში მასობრივი პროფესიის კადრების მოსამზადებლად კონტინგენტის შერჩევას და გაგზავნას. კომბინატში გეგმით გათვალისწინებული 1245 მექანიზატორის ნაცვლად მომზადდა 309 სხვადასხვა პროფესიის მექანიზატორი. ნელი ტემპით ხორციელდება კადრების კვალიფიკაციის ამაღლება: თუ 1976 წლისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანეების საერთო რიცხვიდან პირველი და მეორე კლასი ჰქონდა 50,6 პროცენტს, 1978 წლის დამლევისათვის იგი მხოლოდ სამი პროცენტით გაიზარდა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა მიცხოველეობის და სხვა დარგების მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

გარკვეული ნაკლოვანებებია საქსახსოფლტექნიკის საკურსო კომბინატში მასობრივი პროფესიის კადრების მოსამზადებლად კონტინგენტის შერჩევას და გაგზავნას. კომბინატში გეგმით გათვალისწინებული 1245 მექანიზატორის ნაცვლად მომზადდა 309 სხვადასხვა პროფესიის მექანიზატორი. ნელი ტემპით ხორციელდება კადრების კვალიფიკაციის ამაღლება: თუ 1976 წლისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანეების საერთო რიცხვიდან პირველი და მეორე კლასი ჰქონდა 50,6 პროცენტს, 1978 წლის დამლევისათვის იგი მხოლოდ სამი პროცენტით გაიზარდა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა მიცხოველეობის და სხვა დარგების მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

საერთაშორისო ცხოვრება

დღის ზურგზე

პარლამენტართა შეხვედრები

კანბერა, 24 მაისი. (საქდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელიც აქ ვიზიტად იმყოფება, დღეს ეწვია სამხედრო მემორიალს და გვირგვინით შეამკო მეორე მსოფლიო ომის წლებში დაღუპულთა ძეგლის კვარცხლბეკი. დელეგაციამ დაათვალიერა აგრეთვე ავსტრალიის სამხედრო მუზეუმი, კანბერის მუზეუმი, გაეცნო ავსტრალიის დედაქალაქის განვითარების პერსპექტივებს, ითმაზურა ქალაქში.

ავსტრალიის პარლამენტის სახელით საბჭოთა დელეგაციას მიესალმა სენატორი ლიბერალური პარტიისაგან ჯონ ნაიტი. მან თქვა, რომ ავსტრალიელი პარლამენტარები სიხარულით გაიფარფატოთ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა და თანამშრომლობა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ პ. გ. გილაშვილმა საპასუხო სიტყვაში ხაზი გაუსვა რომ, საბჭოთა კავშირი მზად არის ითანამშრომლოს და მეგობრული კონტაქტები დაამყაროს ავსტრალიასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

მიუმხრობელი ქვეყნების წინადადებანი

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საქდესი). მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას წარუდგინა სამუშაო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მათს წინადადებებს განიარაღების საყოველთაო პროგრამის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს დოკუმენტი ბევრი მიმართულებით შეესაბამება ამ დარგში საბჭოთა ინიციატივებს, რომლებიც ითვალისწინებენ გამალებული შეიარაღების ალაგმვას, დაძაბულობის შენელების გაღრმავებასა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

სუდანის პოზიცია

ხართუმი, 23 მაისი. (საქდესი). აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას სუდანის პრეზიდენტმა ჯ. ნიმეირიმ განაცხადა, რომ სუდანი მხარს უჭერს არაბული ქვეყნების უმაღლესი დონის ბაღდადის თათბირის დასკვნებს, რომელმაც მკაცრი პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციები მიიღო სადათის რეჟიმის წინააღმდეგ. სუდანი, თქვა მან, ბატონს სცემს იმ არაბული ქვეყნების ლიგის წევრთა უმრავლესობის კოლექტიური გადაწყვეტილებებს, რომლებიც მონაწილეობდნენ არაბული ქვეყნების სათავეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრების ბაღდადის კონფერენციის მუშაობაში.

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის პრობლემის მ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

წყალში გადაყრილი ათასები

ხელვაჩაურის ბლოკური საკედლე მასალების ქარხნის დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ მიღების დროს ადგილობრივი სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ გამოვლენილი სამშენებლო წესების უხეში დარღვევების შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

ხელვაჩაურის ბლოკური საკედლე მასალების ქარხნის მშენებლობა 1970 წელს დაიწყო. ქარხნის პროექტის მიხედვით, მისი წლიური სიმძლავრე 40 ათასი კუბური მეტრი სიმკვრივის ხელვაჩაურის საკედლე მასალების ქარხნის მშენებლობის ყველა ეტაპზე, დაპროექტებისა და საექსპლოატაციოდ მიღების ჩათვლით, დაშვებული იყო სამშენებლო წესების უხეში დარღვევები.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზებული საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს ხელმძღვანელების (დირექტორი 1972 წლამდე გ. გურგენიძე, 1973 წლიდან 1977 წლამდე ო. ქიშმარიაშვილი, მთავარი ინჟინერი გ. კაჭარავა, პროექტის მთავარი ინჟინერი 1972 წლამდე დ. ლოლომაძე, 1973-დან 1975 წლამდე ბ. კენდელაძე) დაუდევრობის გამო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში დაშვებული იყო უხეში შეცდომები. რასაც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ პროექტის ექსპერტიზის დროს ყურადღება არ მიაქცია.

საპროექტო ორგანიზაციების მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 218,1 ათასი მანეთიდან 505,6 ათას მანეთამდე გაიზარდა, ხოლო საპროექტო-გამოკვლევითს სამუშაოებზე 25,2 ათასი მანეთი დაიხარჯა, აქედან პროექტის გადაკეთებასა და გასწორებაზე — 15,5 ათასი მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ 1970-1975 წლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შეტანილი იყო მრავალრიცხოვანი შესწორება, იგი მაინც არ შეესაბამებოდა მოთხოვნას.

პროექტში დაშვებული დეფექტების მიუხედავად, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და ბათუმის სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ 1969 წელს დაიწყო ქარხნის მშენებლობა, მაგრამ მის მიერ 15,3 ათასი მანეთის სამუშაოს შესრულების შემდეგ, ქარხნისათვის გამოყოფილი ტერიტორია თვითნებურად დაიკავა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტმა (ყოფილი მმართველი 1975 წლამდე მ. უსტიაშვილი).

სახსრები, რომლებიც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ გამოყო მშენებლობისათვის, საკმარისი არ აღმოჩნდა, დაწესებულ ვადებში მისი დამთავრებისათვის. გეგმების შეუსრულებლობაში ნაწილობრივ ბრალი მიუძღვის აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსაც, რომელმაც ვერ უზრუნველყო ტექნოლოგიური მოწყობილობის დროული მიწოდება.

80 დასახელების დაუმთავრებელი სამუშაოს მიუხედავად, მშენებლობის სამინისტრომ № 5 ტრესტმა ჩასაბარებლად წარადგინა დაუმთავრებელი ქარხანა. საექსპლოატაციოდ ქარხნის მიღებისათვის აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ შექმნა სახელმწიფო მიმღები კომისია (თავმჯდომარე — ზ. პერტენაძე, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე).

მიმღები კომისიის მუშაობის პერიოდში სპეციალიზებულმა საკონსტრუქტორო-საპროექტო ტექნოლოგიურმა ბიურომ აღნიშნა, რომ პროექტის ტექნოლოგიური ნაწილის დაპროექტების დროს დაშვებული იყო შეცდომები, რის გამოც ქარხნის რეალური სიმძლავრე წელიწადში მხოლოდ 10-12 ათას კუბურ მეტრს შეადგენდა. კომისიამ დამთავრებულად ჩათვალა ხელვაჩაურის საკედლე მასალების ქარხნის მშენებლობა და იგი საექსპლოატაციოდ მიიღო. ამ კომისიის აქტი დაამტკიცა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის ყოფილმა მინისტრმა ე. გოგავამ.

ამრიგად, დადგენილი წესების მიუხედავად, მრავალი დაუმთავრებელი სამუშაოთი და პროდუქციის საცდელი გამოშვების განუხორციელებლად ქარხანა მიიღეს საექსპლოატაციოდ ისე, რომ მისი სიმძლავრე გათვალისწინებულზე 3,5-ჯერ ნაკლები იყო.

ქარხნის მოედანზე მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა დღემდე არ არის დამთავრებული, ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო შესრულებულია უხარისხოდ.

ქარხნის საექსპლოატაციოდ მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ დასვა საკითხი მისი რეკონსტრუქციის შესახებ. 1978 წელს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზებულმა საკონსტრუქტორო ბიურომ შეიმუშავა რეკონსტრუქციის პროექტი, რომლის მიხედვით სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 102 ათას მანეთს შეადგენს.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის ხელმძღვანელობის გულგრილობის და მომთხოვნელობის შესუსტების გამო დიდი ხნის მანძილზე უმოძრაოდ იყო დიდძალი სახსრები, სახელმწიფომ კაპიტალური დანახარჯებიდან დროულად ვერ მიიღო უკუგება წვრილი საკედლე ბლოკების სახით, რის გამო რესპუბლიკის სამშენებლო წარმოებამ დიდი ზარალი განიცადა.

კონტროლის კომიტეტმა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელთა ყურადღება გაამახვილა ხელვაჩაურის ქარხნის მშენებლობაზე და მოსთხოვა მათ გადამწყვეტი ღონისძიებები გაეხორციელონ მისი დამთავრებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებისათვის.

ხელვაჩაურის ქარხნის მშენებლობის საკითხებისადმი არასაკმაო ყურადღებისათვის, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაფრთხილება და მათი დანახარჯებიდან სათანადო უკუგების მიუღებლობისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სსრ მინისტრის მოადგილეს ა. ქირაიას შენიშვნა მიეცა. ამავე სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს დ. ლოლომაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორს ო. ქიშმარიაშვილს — საყვედური.

აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილის — სახელმწიფო მიმღები კომისიის თავჯდომარის, ამჟამად ხელვაჩაურის ჩაის გაერთიანების გენერალური დირექტორის ზ. პერტენაძის და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის ყოფილი მინისტრის, ამჟამად ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორის ე. გოგავას პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტს.

ცნობად იქნა მიღებული, რომ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მმართველი გ. ჩახვაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

ფორმალიზმს ფორმალისტურად ებრძვიან.

მშენებლობის წესები ირღვევა.

მეთვალყურეობა საკმარისი არ არის.

მაქსების კონტროლით

ბაღის ფხიზელი თვალი

გვერდი № 147

ცნობები საგუშაგოებიდან

ქ. ზესტაფონის რაიონში მუშაობის, წარმოებისა და მასში მოქალაქეთა განწყობილების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების შემოწმების მიზნით საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომლის განხორციელება კონტროლის კომიტეტების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ მიზნით დასავლეთ საქართველოს მეცხრამეტე ბის რაიონების კონტროლის კომიტეტებმა შეჭრნეს შეკაბები, დამტკიცებულია 1979-1980 წლების ღონისძიებათა გეგმები.

გეგმებში გათვალისწინებულია ხანგრძლივი მეურნეობების ნერგებით უზრუნველყოფის, დაპლანტაჟების, სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულების აქტუალური საკითხები.

თუ რა კეთდება ამ მიმართულებით თავ-თავიანთ რაიონებში, ამაზე გვწერენ მაიაკოვსკის და ვანის სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეები:

●●

მიღებულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი ვენახების სამუშაოთა დროულად შესრულებას. 1.420 ჰექტარზე მწკრივთაშორისების დამუშავება და ძირების შემობარვა ადრე დამთავრდა. რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 235 ჰექტარით მეტია. 450 ჰექტარი მეორედ დამუშავდა. შეიფხვლა ზვრები, სომეჩხრის შესამცირებლად დაიკრა 58 ათასი ძირი პირველი ხარისხის ნერგი.

საკოლეურნეობათაშორისო სანერგე მეურნეობამ მილიონ ასი ათასი ნერგი გამოიყვანა, რომელთა დიდი ნაწილი უკვე დაიკრა. ყოველ ღონეს იზმარობთ იმისათვის, რათა ნერგის გამოსვლიანობა 45-50 პროცენტამდე გაიზარდოს, ეს კი საშუალებას მოგვცემს არა მარტო საკუთარი, არამედ მეზობელი რაიონების მოთხოვნილებაც დავაკმაყოფილოთ.

რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი, ჯგუფები, სახალხო კონტროლიორები ძალას არ დაიშურებენ იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს ზვრების გაშენებისა და ყურძნის მოსავლის გადიდების გეგმები.

რ. მაღლაკელიძე,
მაიაკოვსკის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

●●

1977-1978 წლებში რაიონში ვერ შესრულდა ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, ამიტომ წლიურს მეკვინახეობას განსაკურთებულ ყურადღებას ვუთმობთ.

სახალხო კონტროლის კომიტეტი რაიონული შტაბის, სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების, ინსპექტორების, აგრეთვე პირველადი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საკოშაოების მონაწილეობით სისტემატურად სწავლობს ზვრების გაშენებისა და დამუშავების მდგომარეობას, ოპერატიულ ღონისძიებებს ახორციელებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შემოწმებები საშუალებას გვაძლევს დროზე მივაქციოთ ზვრებს და აღმოვფხვრათ ისიც გამოვლინდა, რომ შარშან დეკემბერში ო. ნადაშვილს აღმოაჩნდა სათადარიგო ნაწილების დანაკლისი, მაგრამ ამ ფაქტისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ავტობაზის მთავარ ბუღალტერს კ. მამალაძეს. ამით გათამამებული ო. ნადაშვილი და მღებავი ს. სარქისოვი თავისუფლად ეწეოდნენ ქერძო მანქანების მომსახურებას. უკონტროლობასა და უპასუხისმგებლობაში მხილებულ იქნენ ავტობაზის დირექტორი ჯ. თხელიძე და მთავარი ინჟინერი ო. გავარდაშვილი. დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი უყურადღება მოადუნა სახალხო კონტროლის ჯგუფმაც (თავმჯდომარე — ა. ბუხარაია-ნი).

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა და ავტობაზის დირექციამ განახორციელეს მკაცრი ღონისძიებანი: თანამდებობიდან გადაყენებულ იქნენ საწყობის გამგე ო. ნადაშვილი, სახელოსნოს გამგე ნ. კურტანიძე, ყარაული მ. აკოფოვი, მთავარი ინჟინერი ო. გავარდაშვილი კი სამი თვით ჩამოაქვეითეს თანამდებობიდან. სასტიკი საყვედური გამოეცხადათ ავტობაზის დირექტორს ჯ. თხელიძეს და მღებავ ს. სარქისოვს, ხოლო მთავარ ბუღალტერ კ. მამალაძეს — საყვედური.

ბ. სვანიძე.

სამტრედიის რაიონის სოფელ გომის საავადმყოფოს შენობის უვარგისობის გამო კვების ბლოკი მოუწესრიგებელია. ვერ მოხერხდა შენობის ისე შეკეთება, რომ სამზარეულოში ნავთქურების მაგივრად გაზქურები დაიდგას და ავადმყოფთათვის სადილები ნორმალურად მზადდებოდეს. საქმე ის არის, რომ სამზარეულოს თავზე ავადმყოფთა პალატებია, ხოლო სართულთაშორის გადახურვა ვერ აკავებს ნამწვს, გაშუქყიანებულ მაგრს. ამის შედეგად რა გასაკვირია, რომ აქ მყურნალობას გაურბიან ავადმყოფები?

სახალხო კონტროლიორთა შემოწმების მასალებიდან.

მხატვარი ბ. ლომიძე.

ფოტოინფორმაცია

თელავის ლენინური კომკავშირის სახელობის წინდის ფაბრიკის პროდუქცია საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში იგზავნება.

დღეს ფაბრიკის მთელი პროდუქციის ერთი მესამედი სახელმწიფო ბარისხის ნიშნით გამოდის და ყველგან დიდად მოსწონთ.

ამ წარმატებაში წვლილი სახალხო კონტროლიორებსაც მიუძღვით.

რეიდები და დათვალიერებები, რომლებიც სისტემატურად ეწყობა საწარმოში, ავლენენ ხარვეზებს და საწარმოო დისციპლინის დამრღვევებს, წუნის მკეთებლებს.

სურათზე: სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან) წუნმდებელი ლ. ბაღათარიშვილი, შემფუთავი მ. გოდერძიშვილი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე თ. ჭურციკაშვილი, პროდუქციის ხარისხის კონტროლის ხელმძღვანელი თ. მაისურაძე და პარტკომი ნ. ჯაშიაშვილი მორიგი რეიდის დროს.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზეპირობა საქმის ვნებს

ვამოწმებთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას

პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის მთავარი და ძირითადი საქმეა. უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა შემოწმების ქმედითობის გასაძლიერებლად, მისი ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების გასაუმჯობესებლად. ახლა თითოეული შემოწმება უფრო ღრმად, კვალიფიციურად ვლინებს ნაკლოვანებათა მიზეზებს, იძლევა ობიექტის სამეურნეო საქმიანობის ნათელ სურათს. შესრულების ხასიათისა და შემოწმება მუდამ იყო კადრების აღზრდის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების და საერთოდ სახალხო მეურნეობის წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი.

სახალხო კონტროლის ორგანოები, კერძოდ, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი, ხშირად, ამოწმებს არა მარტო პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, არამედ თვით სამინისტროებისა და უწყებების გადაწყვეტილებების შესრულებას, იმას, თუ როგორ ახორციელებენ მათ. ამ საქმეში დღეს დადებითი შედეგები გვაქვს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგან შესრულების შემოწმება ზერელე და ნაკლებად ეფექტიანია.

ამ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა საქართველოს ხორციელისა და რძის მრეწველობის სამინისტროში შეისწავლა გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ამ მიმართულებით აქ ერთგვარი ღონისძიებები ტარდება. შექმნილია და მუშაობს სპეციალური საკონტროლო ჯგუფი — მინისტრთან არსებული ინსპექცია, მოქმედებს განყოფილება, სამმართველო, რომელთა მთავარი ამოცანაა კონტროლი გაუწიონ თუ როგორ ასრულებენ სამინისტროსა და მისი სისტემის საწარმოები პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებსა და საკუთარ გადაწყვეტილებებს.

ერთი შეხედვით, საკონტროლო-სარევიზიო სამსახური ორგანიზაციული საკითხები თითქოს გადაწყვეტილია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მართვის ყველა საფეხურზე შესრულების კონტროლი ყოველთვის პრინციპული არ არის.

სამინისტროში ცხრა ძირითადი სახეობიდან წარმოების გეგმა არ შესრულდა ექვს სახეობაში. ცხადია, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამსახური სათანადოდ ვერ სწვდება მის წინაშე მდგარ პრობლემებს და ზედაპირულ ხასიათს ატარებს. ცხადია, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამსახური სათანადოდ ვერ სწვდება მის წინაშე მდგარ პრობლემებს და ზედაპირულ ხასიათს ატარებს. ცხადია, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამსახური სათანადოდ ვერ სწვდება მის წინაშე მდგარ პრობლემებს და ზედაპირულ ხასიათს ატარებს. ცხადია, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამსახური სათანადოდ ვერ სწვდება მის წინაშე მდგარ პრობლემებს და ზედაპირულ ხასიათს ატარებს.

ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომ, დაწესებული ვადების მიუხედავად, შემოწმებათა გარკვეული ნაწილი ზოგჯერ რამდენიმე თვეს გრძელდება. სამინისტრო რევიზიების შედეგებს დაგვიანებით განიხილავს, დროულად არ მიმართავს ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რის გამოც საუწყებო კონტროლის ეფექტიანობა და მნიშვნელობა დაკნინებულია. ამის ნათელი მაგალითია გორისა და თბილისის ხორკომბინატების, თბილისის ძროხა კომბინატის რევიზიების მასალები, რომელიც განხილული იყო რევიზიის დამთავრებიდან შესაბამისად — 113, 133 და 308 დღის შემდეგ?! დაგვიანებით განიხილეს ბათუმის ძროხის ქარხანაში გასული წლის დეკემბრის რევიზიის მასალები, ხოლო წყალტუბოს ხორცკომბინატის რევიზიის მასალები საერთოდ არ განუხილავთ.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა ისიც, რომ საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის (უფროსი — გ. ჭინჭარაული) არ უზრუნველყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ყოველთვიური ინფორმაციების წარდგენა სახელმწიფოსათვის პირუტყვის ჩაბარების დეკადური გრაფიკის დაცვის შესახებ და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დღემდე ვერ მიუღწევია მშრომელთა წვრილების დროული განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის არსებით გაუმჯობესებისათვის. სწორედ ამის შედეგია მოქალაქეთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების დამნიელისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები. ამ მხრივ სათანადო ყურადღებას არ იჩენს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება (უფროსი — გ. ჯოხთაბერიძე). ისიც უნდა ითქვას, რომ განმცხადებელს ზმირად არ ეძლევა პასუხი. ზოგჯერ საკითხი რეაგირების გარეშე რჩება, არის წვრილების დაკარგვის შემთხვევები. ზოგჯერ სამინისტროში შემოსულ წვრილებსა და საჩივრებს რევიზორაციაში არ ატარებენ და კონტროლს არ უწევენ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა შემოწმების მასალები და მიიღო შესაბამისი დადგენილება. რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დაევალა გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელოს უწყებრივი კონტროლისა და სამმსრულებლო დისციპლინის დონის ამაღლებისათვის, რათა აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი და მკვეთრად გაუმჯობესდეს მდგომარეობა.

სამინისტროს სარევიზიო-საკონტროლო სამმართველოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის სამმართველოს უფროსს გ. ჭიაბრიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. საყვედური გამოეცხადა აღმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების გამგეს გ. ჯოხთაბერიძეს, მკაცრად იქნა გაფრთხილებული საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ზ. დეკეძე.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შესრულების შემოწმებას დღეს კიდევ უფრო მეტი აქტუალობა ენიჭება. ფორმალობა და ზერელობა საქმის მტერია. უნდა მოვაღწიოთ, რომ თითოეული შემოწმება ნაყოფსა და რეალურ ეფექტს იძლეოდეს.

ვ. სულაბერიძე,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაუძი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე.

გამოხმაურება

კონტროლისა და შესრულების ერთიანობა

ფოტობარალდების სტენდი, ელვა ფურცლები, ადგილობრივი რადიოკვანძი, მრავალტირაჟიანი გაზეთი „ელმავალმშენებელი“ — ყოველივე ამას უნარიანად იყენებს სახალხო კონტროლის ჯგუფის საჯაროობის სექტორი.

დიახ, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფს ბევრი რამ აქვს ისეთი, რაც განზოგადების ღირსია.

დავიწყოთ იმით, რომ მეთაური ჯგუფმა, რომლის თავმჯდომარეა თ. ბაკურაძე, დაწერგა კონტროლისა და შესრულების ერთიანობა. ამან მტკიცე საფუძველი შეუქმნა მეთაური ჯგუფის წლიური და კვარტალური გეგმების თანმიმდევრულ შესრულებას. აქ თავისებურ დადებით როლს ასრულებს ჯგუფების თავმჯდომარეთა ინფორმაციის დღე, რომელიც ორშაბათობით იმართება, საგუშაგოების ხელმძღვანელები და ჯგუფების თავმჯდომარეები გადიან კარგად ორგანიზებულ სემინარულ მეცადინეობას. მათ თვალსაჩინო დახმარებას უწევენ საწარმოს მეთოდიკური კუთხე, სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მეთოდიკური კაბინეტები.

საწარმოო გაერთიანებაში სახალხო კონტროლის 24 ჯგუფი, 75 საგუშაგო და 7 სექტორი იღწვის კონტროლის ფრონტზე, მათი თავმჯდომარეებისა და ხელმძღვანელთა 95 პროცენტი კომუნისტები არიან. 420 კონტროლიორიდან 140 კომუნისტური შრომის დამკვრელია, 72 — რაციონალიზატორი. შარშან კონტროლიორმა რაციონალიზატორებმა 152 წინადადება დანერგეს, რითაც საწარმოს 250 ათასი მანეთი წლიური პირობითი ეკონომია მისცეს; დაიზოგა მილიონზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 328 ტონა შავი და ფერადი ლითონი.

სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა პარტიული კომიტეტის სხდომაზე გაიტანა 15 საკითხი. მიღებულ დადგენილებებში მკაფიოდ აისახა სახალხო კონტროლიორთა რეკომენდაციები გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ბოლო ორნახევარ წელიწადში მოეწყო 78 შემოწმება, ცხრა საზოგადებრივი დათვალიერება, ასი მასობრივი რეიდი, რომლებშიც მონაწილეობდა 2200-ზე მეტი კაცი. ამ ღონისძიებებიდან დამახასიათებელი იყო ჯგუფის მიერ გამართული სოციალისტური საკუთრების დაცვის დათვალიერების ერთთვიური. დათვალიერების შედეგად გატარებული ღონისძიებებით რეალიზებულ იქნა ათი ათასი მანეთის გამოუსადეგარი საიზოლაციო მასალა, გაფუჭების გადაურჩა 15 ათასი მანეთის ფასეულობანი.

სახალხო კონტროლიორებმა მიაღწიეს ფასეულობათა არრიცხვის საიმედო სისტემის დანერგვას. ლითონის ნამსხვრევების შეგროვებაში შეტანილმა ცვლილებამ, ჯგუფის თაოსნობით რომ განხორციელდა, საწარმოს მისცა ხუთი ათასი მანეთის ეკონომია. მეთაურმა ჯგუფმა იინვარ-თებერვალში მოაწყო საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების ერთთვიური. ამ ღონისძიებებმა ათი პროცენტით შეამცირა გაცდენა-დაგვიანება (დადგენილია, რომ საწარმოში გაცდენა-დაგვიანების ერთი პროცენტით შემცირება 1.500 მანეთის დამატებითი პროდუქციის გამოშვებას უზრუნველყოფს).

ჩვენმა კონტროლიორებმა, — ამბობს სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე თ. ბაკურაძე, — შეამოწმეს ვაგონებისა და კონტეინერების გამოყენების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ მოცდენები საგრძნობი იყო, ცდებოდა ვაგონები და კონტეინერები. ჯგუფის წინადადებით დაინერგა მათი გამოყენების ერთიანი სისტემა, ამის შედეგად ოცი პროცენტით დაიწია ჯარიმების მრუდმა. მიმდინარეობს ლითონისა და საწვავი მასალის მომჭირნეობით ხარჯვისადმი მიძღვნილი კონკურს-დათვალიერება. სპეციალური სტენდი თვალსაჩინოდ ასახავს შავი და ფერადი ლითონებისა და სხვა მასალების ნარჩენების გამოყენების მაჩვენებლებს.

კონტროლიორთა მრავალრიცხოვან რაზმებში განსაკუთრებით აქტიურად და დიდი პასუხისმგებლობით მუშაობენ ლ. შარაშენიძე, კ. ორაგველიძე, გ. ვორობჩენკო, თ. არაქელოვი, თ. ჯიშკარიანი, ი. ზაკალაშვილი, ვ. კეკერაშვილი და სხვანი.

სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფი მუშაობას განაგრძობს თბილისის XXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის მიერ გამოცხადებული დევიზით: — „...ახლანდელი წელიწადი გამოვაცხადოთ შესრულების ორგანიზაციისა და შემოწმების აქტიური მუშაობის წელიწადად, მათი ორგანული შერწყმის, შეთვისებისა და ერთიანობის წელიწადად...“

უნდა ვიფიქროთ, რომ სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფი არ დაემყოფილდება მიღწეულით, კვლავაც აქტიურ, შემოქმედებით მონაწილეობას მიიღებს კონტროლისა და შესრულების ერთიანობის გაძლიერებაში.

ს. ყურაშვილი.

კომიტეტში სიგნალი მოვიდა

ამხილეს, აღკვეთეს

სიგნალი მწვავე იყო. სახალხო კონტროლიორები მაშინვე ეწვივნენ „სასწრაფო დახმარების“ ავტობაზის საწყობს. შემოწმებამ გამოავლინა ბევრი უსიამოვნო ფაქტი, რომელებსაც ეწოდა თავისი სახელი — სოციალისტური საკუთრების განიავებადატაცება. მალე 26 კომისრის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა თავის სხდომაზე განიხილა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სასწრაფო დახმარების ავტობაზაში სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტები.

აღინიშნა, რომ ბაზის საწყობის გამგე ო. ნადაშვილი ხელყოფს სოციალისტურ საკუთრებას, ანიავებს ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებს და ჯიბეს ისქელებს. მან მოქალაქე ა. მელაძეს 315 მანეთის სხვადასხვა დანიშნულების სათადარიგო ნაწილები მიჰყიდა. ამ დანაშაულში მას ხელი შეუწყო ავტობაზის დარაჯმა მ. აკოფოვმა, რომელმაც ბაზის ტერიტორიაზე შეუშვა ტაქსი, რომლითაც აღნიშნული საქონელი გაიტანეს.

ისიც გამოვლინდა, რომ შარშან დეკემბერში ო. ნადაშვილს აღმოაჩნდა სათადარიგო ნაწილების დანაკლისი, მაგრამ ამ ფაქტისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ავტობაზის მთავარ ბუღალტერს კ. მამალაძეს. ამით გათამამებული ო. ნადაშვილი და მღებავი ს. სარქისოვი თავისუფლად ეწეოდნენ ქერძო მანქანების მომსახურებას. უკონტროლობასა და უპასუხისმგებლობაში მხილებულ იქნენ ავტობაზის დირექტორი ჯ. თხელიძე და მთავარი ინჟინერი ო. გავარდაშვილი. დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი უყურადღება მოადუნა სახალხო კონტროლის ჯგუფმაც (თავმჯდომარე — ა. ბუხარაია-ნი).

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა და ავტობაზის დირექციამ განახორციელეს მკაცრი ღონისძიებანი: თანამდებობიდან გადაყენებულ იქნენ საწყობის გამგე ო. ნადაშვილი, სახელოსნოს გამგე ნ. კურტანიძე, ყარაული მ. აკოფოვი, მთავარი ინჟინერი ო. გავარდაშვილი კი სამი თვით ჩამოაქვეითეს თანამდებობიდან. სასტიკი საყვედური გამოეცხადათ ავტობაზის დირექტორს ჯ. თხელიძეს და მღებავ ს. სარქისოვს, ხოლო მთავარ ბუღალტერ კ. მამალაძეს — საყვედური.

ბ. სვანიძე.

კარიკატურისტის კომენტარი

ДЕРЖАВНА ТОРГОВЕЛЬНА ФІРМА

Рідний край

пропонує широкий асортимент товарів:

380096 Одеська обл., вул. Леніна, 14.



ВІДКРИТТЯ ВИСТАВКИ

25 вересня

ЗАПРОШУЄМО ВСІХ ОХОЧИХ

ВІДВІДАТИ ВИСТАВКУ

ВІДКРИТТЯ ВИСТАВКИ

25 вересня

ЗАПРОШУЄМО ВСІХ ОХОЧИХ

ВІДВІДАТИ ВИСТАВКУ

ВІДКРИТТЯ ВИСТАВКИ

25 вересня

ЗАПРОШУЄМО ВСІХ ОХОЧИХ

ВІДВІДАТИ ВИСТАВКУ

ВІДКРИТТЯ ВИСТАВКИ

25 вересня

ЗАПРОШУЄМО ВСІХ ОХОЧИХ

ВІДВІДАТИ ВИСТАВКУ